ხელშეკრულება №03-05/9
აუდიტორული მომსახურების გაწევაზე

ქ. ბათუმი 29 ივნისი 2020 წ.

შპს „ეკონომიკა-აუდიტი“, რომელსაც წარმოადგენს ***დირექტორი მალხაზ ქარცივაძე,*** შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული, მეორეს მხრივ სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა **(ს/ნ 246994409)** შემდგომში "კლიენტად" წოდებული, რომელსაც წარმოადგენს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლეილა ლორთქიფანიძე
(ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება)

დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. კლიენტი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება და მისი შედეგების მიხედვით მისცეს დასკვნა.

1.2. ხელშეკრულების საგანი: ა) სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ჩამოსაწერი ქონების (ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების) მდგომარეობისა და ამ ქონების ლიკვიდაციის შემდეგ მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა შეფასება 2020 წლის ივნისის მდგომარეობით და შესაბამისი აუდიტორული დასკვნის წარმოდგენა. ბ) სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული 1800 კგ. ჯართის საბაზრო ღირებულების დადგენა და შესაბამისი აუდიტორული დასკვნის წარმოდგენა.

1.3. აუდიტორის თანამშრომელთა სია, რომლებიც უშუალოდ ჩაატარებენ შემოწმებას, დადგენილია ამ ხელშეკრულებით: მალხაზ ქარცივაძე.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. დაიწყოს კლიენტის შემოწმება არა უგვიანეს 29.06.2020 წ-დან.

2.1.2. დაიცვას კლიენტის დაწესებულებაში დადგენილი წესები.

2.1.3. შემოწმების დასრულების შემდგომ წარუდგინოს კლიენტს აუდიტორული დასკვნა.

2.1.4. კლიენტისათვის კონსულტაციების მიცემის და კლიენტის შემოწმებისას გამოიყენოს კანონიერი მეთოდები და საშუალებები და იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.1.5. არ გაახმაუროს შემოწმების პროცესში მიღებული ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას ან არის კლიენტის კომერციული საიდუმლო.

2.1.6. დაამთავროს შემოწმება 30.06.2020 წ-მდე.

2.2. კლიენტი ვალდებულია:

2.2.1. გადასცეს შემსრულებელს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელთა ნუსხასაც წარუდგენს აუდიტორი წერილობით მოთხოვნაში შემოწმების დაწყებამდე.

2.2.2. გამოყოს სამუშაო ადგილი შემსრულებლის თანამშრომლებისათვის საჭირო მოწყობილობით ამ სახის სამუშაოს ჩასატარებლად.

2.2.3. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს შემსრულებლის თანამშრომლე-ბისათვის განმარტებების მიცემის დროს თავისი თანმშრომლების დასწრება.

2.2.4. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3.2. ანაზღაურება უნდა მოხდეს კლიენტის მიერ აუდიტორული დასკვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში შემსრულებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

3.3. აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების საფასურის გადახდის დაგვიანებისათვის კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

4.2. შემსრულებლის მიზეზით კლიენტისთვის დასკვნის გადაცემის დაგვიანებისათვის აუდიტორი იხდის პირგასამტეხლოს მომსახურების სრული საფასურის 0,01 %-ის ოდენობით.

4.3 სხვა შემთხვევებში ამ ხელშეკრულებით თავისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ გაწეული მომსახურების ღირებულების ოდენობის თანხით.

5. დავათა გადაჭრა

5.1. დავები მხარეებს შორის უნდა გადაიჭრას მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ეს ხელშკრულება შედის ძალაში ორივე მხარის მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ყველა ვალდებულების სრულ შესრულებამდე.

6.2. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შესრულდეს იმავე ფორმით, როგორც თვით ხელშეკრულებაა და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის და მათ აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი **შპს „ეკონომიკა-აუდიტი" ს/ნ №245425883, ფარნავაზ მეფის ქ. 56, სს „ვითიბი ბანკი" ანგარიშის № GE 28 VT 55 0000 0007 4736 02 GEL„.**

კლიენტი **სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა, ს/ნ 246994409, ქობულეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ხალა, სს „ლიბერთი ბანკი" ანგარიშის № GE55LB 0121141815616000 GEL**

შემსრულებელი *კლიენტი*

ხელმოწერა.თარიღი *ხელმოწერა.თარიღი*

ბ.ა. *ბ.ა.*